



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### იაჟუჟუნა



იაჟუჟუნა

იაჟუჟუნა, სამფეროვანი ია (*Viola tricolor*), ერთ და ორწლოვანი ბალახოვანი მცენარის სახეობა იისებრთა ოჯახისა. გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. დეკორატიულ მებაღეობაში ფართოდ იყენებენ ისეთ ფორმებსა და ჯიშებს, რ-ებსაც სხვადასხვა შეფერილობის ყვავილები აქვთ, აგრეთვე ი-სა და სხვა იების რთულ ჰიბრიდებს. გააჩნია ძალიან დატოტვილი, ბოჭკოებით მდიდარი ფესვთა სისტემა. ნაყოფი წარმოადგენს სამსაგდულიან კაფსულას, საიდანაც გასკდომისას 1 მმ ზომის უამრავი მოყვითალო-მოყავისფრო თესლი იყრება. იზრდება

ქვიშიან, ტორფიან და თიხნარ ნიადაგზე, კარგად იზრდება ნემომპალიან, ქვიშიან ნიადაგზე საკმარისი ტენიანობის პირობებში.

**ლ. ასეიშვილი**

---